პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 258 (12770) | კვირა, 3 ნოემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ღირსეული შეხვედრა დიად ოქტომბერს!

250 ათასი ცენტნერი შაქარი

აგარა. (საკ. კორ.). შაქრის კომბინატმა შეუფერხებლად დაიწყო ახალი სეზონი. აგარელი მეშაქრეები სეზონის განახლების პირველი დღეებიდან დგანან ოქტომბრის დიადი დღესასწაულისა და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და გეგმებს გადამეტებით ასრულებენ.

შუშაობაში დაწინაურდნენ ის ცვლები, რომლებსაც გ. ხარხარიანცი და კ. დახოსკი ხელმძღვანელობენ. ისინი ცვლაში ყოველდღიურად 535 ცენტნერ შაქარს უშვებენ, რაც დავალებას დიდად აღემატება.

კომბინატის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის გახსნის დღისათვის ქვეყანას მისცეს წლიური გეგმით ნავარაუდევი — 250 ათასი ცენტნერი შაქარი.

შუბი მოსავლის ოსტატმა, კოლმეურნე ს. ხარშილაძემ (ხაშურის საწარმოო სამმართველო) 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 150 ცენტნერი სიმინდი მიიღო. სურათზე: მესიმინდე ს. ხარშილაძე.

ფოტო შ. კუკულავასი.

აღვზარდოთ კადრები პასუხისმგებლობის გრძნობით

ვანუზომელია კადრების როლი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კადრებს ახლა — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, რადგან ახალი, კომუნისტური საზოგადოება მილიონთა შრომით შენდება.

პარტია ზრდის კადრებს ხალხის ინტერესებისადმი ერთგული სამსახურის სულისკვეთებით, კომუნიზმის გამარჯვების სულისკვეთებით. და თვითეული პატიოსანი მშრომელი, კომუნისტი იქნება იგი თუ უპარტიო, თავისი ცხოვრების მიზანს ხედავს ლენინიზმის ერთგულებაში, პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის შეუდრეკელ ბრძოლაში.

პარტიის ყოველდღიური მზრუნველობით რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ახლა შრომის ათეულ ათასობით ადამიანი, რომლებსაც უნარი შესწევთ წარმატებით გადაჭრან კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანები.

უკანასკნელ წლებში ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო აპარატს ყველა რგოლი განმტკიცდა გამოცდილი, ენერგიული, საქმის მცოდნე კადრებით. პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობაში მოსულმა ბევრმა ახალგაზრდამ თან მოიტანა შემოქმედებითი პათოსი და ენთუზიაზმი, განახლდა ხელმძღვანელობა ქალაქის ბევრ საწარმოში, რის შემდეგაც საქმე უკეთ წავიდა. შემოქმედებითი და ტექნიკური ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი საზოგადოებრივ საწყისებზე დიდ და სასარგებლო შრომას ეწევა. კადრები ეუფლებიან ეკონომიურ და სპეციალურ განათლებას.

კადრების ბედისათვის სისტემატურ ზრუნვას სასურველი შედეგებიც მოსდევს. თბილისის მრეწველობამ წარმატებით შეასრულა მიმდინარე წლის მესამე კვარტალის საწარმოო დავალება, მშენებლებმა კი გააწალდეს საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ნაკისრი ვალდებულებანი.

მაგრამ მიღწევები გაცილებით მეტი იქნებოდა, კადრების შერჩევაში დაუდევრობის ფაქტებს რომ არ ვხვდებოდეთ. არცთუ იშვიათია შემთხვევები, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე აწინაურებენ სუსტ და უინიციატივო მუშაკებს. უფრო მეტიც. ერთ უბანზე მუშაობის ჩამშლელი ცალკეული ხელმძღვანელები საშუალოდ გადაჰყავთ მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან უბანზე, ანდა რამდენიმე ხნის შემდეგ ხელახლა წინანდელ თანამდებობაზე აღადგენენ.

წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს ეკონომიური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ცხადყოფს, რომ მთელი საქმე დამოკიდებულია ადამიანებზე, რომელთა ხელშია უხვი მოსავლის ბედი. ამ საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი ახლა უფრო ოპერატიულად და კონკრეტულად, მეტი სიღრმით და საქმის ცოდნით სწვდება საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკას, სწორად არჩევს, ზრდის და ანაწილებს კადრებს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, საკოლმეურნეო წარმოების ცალკეულ რგოლებს განამტკიცებს კარგ ორგანიზატორთა კადრებით. იგი პირველადს პარტორგანიზაციებზე დაყრდნობით ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას აჩაღებს მასებში, რაზმავს მათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

ჩვენ არა გვაქვს ობიექტური მიზეზები ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების არსებობისათვის. მაგრამ თუ კი ასეთი მეურნეობები არსებობენ, ეს იმას მოწმობს, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა შერჩევა-აღზრდისათვის.

კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმეში არსებით ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ჰქონდა ადგილი ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობაში. უკანასკნელ ხანებში აქ ამ მხრივ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი სახალხო დოლეთის დატაცების, მექრთამეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღსაკვეთად. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისში ჯერ კიდევ ცოტას მუშაობენ ადამიანებთან, არასაკმაოდ სწავლობენ, ასწავლიან და ზრდიან მათ, ზოგჯერ კი კარგად ვერ არჩევენ ხელმძღვანელებს. ერთი ფაქტი. მტაცებლობას, რასაც ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში ჰქონდა ადგილი, მოჰყვა დიდძალი სახელმწიფო ქონების განიავება.

კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დაბალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რესპუბლიკის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელში, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში თავი შეაფარა ბევრმა საქმოსანმა, მაქინატორმა და უსინდისო მუშაკმა. ვინმე ვ. ფსუტური ადრე ლენინგორში მაღაზიის გამგედ მუშაობდა. მაგრამ მალე რაიონის ზოგიერთ თანამდებობის პირთა ხელშეწყობით ცენტრალური სასურსათო საწყობის გამგედ დაწინაურეს. ეს იმ დროს, როცა ფსუტური წინათ ბნელ საქმეებში იყო შემჩნეული. ისარგებლა რა მაღალი ნდობით, ფსუტურმა, საწყობის გამგედ მუშაობის პერიოდში, სხვა პირებთან ერთად, 22 ტონა ფქვილი მოიპარა.

მაშ რიო, თუ არა კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ჩამორჩენით, უნდა აიხსნას ასეთი ფაქტები? გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არ კმარა მარტო იდეოლოგიური სფეროს გაფართოება, საჭიროა გამოვიჩინოთ განსაკუთრებული ზრუნვა ხელმძღვანელი კადრების იდეური წრთობისა და აღზრდისათვის, ვასწავლოთ სამეურნეო მუშაკებს ცოდნით უხელმძღვანელონ წარმოებას, მივიზიდოთ იდეოლოგიურ მუშაობაში უელბლივ ყველა სამეურნეო ხელმძღვანელი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღზარდოთ თვითეულ ხელმძღვანელში, ყოველ მუშაკში პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის გრძნობა, ზემდგომი ორგანოების დირექტივების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა. საჭიროა ჩვენი ცხოვრების ყოველ უბანზე შევქმნათ იმ მუშაკთა მიმართ შეურიგებელი დამოკიდებულების ატმოსფერო, რომლებიც ცდილობენ მიჩქმალონ ნაკლოვანებანი, მოჩვენებითი წარმატებებითა და ფორმალიზმით შეცვალონ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა.

ჩვენი კადრები უნდა იჩენდნენ მეტ ოპერატიულობასა და მოკნილობას მუშაობაში, ადგილზე წყვეტდნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებს, მუდამ იყონ ცხოვრების შუაგულში, ერთხელ და სამუდამოდ მოუღონ ბოლო ხელმძღვანელობის კანცელარიულ მეთოდებს და სასხდომო ფუსფუსს.

კადრების აღზრდა ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით შეუძლებელია, თუ ფართოდ არ გავშლით კრიტიკასა და თვითკრიტიკას. ცნობილია, რომ ნაკლოვანებათა მიზეზები თვით ცალკეული ადამიანები არიან. ამიტომ არ უნდა გვეშინოდეს პირში ვუთხრათ მათ ამ ნაკლოვანებების შესახებ.

კადრების იდეური წრთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა მარქსისტულ-ლენინური განათლება. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ნაყოფიერად გამოიყენონ პოლიტიკური განათლების ყველაზე ქმედითი ფორმები, დააწესონ მუდმივი კონტროლი კადრების თეორიულ ზრდაზე.

დიდი თუ პატარა ხელმძღვანელის ჩამოყალიბება უწინარეს ყოვლისა ხდება პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში და იმ კოლექტივში, სადაც იგი მუშაობს, ამიტომ პარტია მოითხოვს ხელმძღვანელი კადრების იდეური აღზრდისათვის პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის მაღლებას.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები, რაც ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს, გამსჭვალული უნდა იყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით, პლენუმისა, რომელმაც განსაზღვრა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი მიმართულება.

ამას წინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ ასრულებენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების შესახებ. პლენუმმა მაღალი პრინციპულობისა და მომთხოვნელობის ვითარებაში ჩაიარა. მის გადაწყვეტილებებში მოცემულია პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მოდვაწეობის ღრმა ანალიზი, განსაზღვრულია კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის მნიშვნელოვანი ამოცანები.

ხოლო როცა ამოცანები გარკვეულია, მაშინ მთავარია განუხრელად ვიბრძოლოთ მათი განხორციელებისათვის. ეს არის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ახალი მიღწევების გასაღები.

საბჭოთა კავშირში ლაოსის კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის პრინცი სუვანა ფუმას ყოფნის გამო

30 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ლაოსის კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი პრინცი სუვანა ფუმა.

მოსკოვში ყოფნის დროს პრემიერ-მინისტრი პრინცი სუვანა ფუმა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა. ნ. ს. ხრუშჩოვსა და სუვანა ფუმას შორის გაიმართა აზრთა მეგობრული გაზიარება ლაოსის მდგომარეობის, ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა შესრულებისა და საბჭოთა კავშირ-ლაოსის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე.

საუბრებში კვლავ დადასტურდა, რომ ჟენევის შეთანხმებებმა კარგი საფუძველი შექმნეს ლაოსს, როგორც მშვიდობიანი, დამოუკიდებელი და ნეიტრალური სახელმწიფოს, განვითარებისათვის და რომ ყველა ქვეყანამ მტკიცედ უნდა შესრულოს ნაკისრი ვალდებულებანი ამ შეთანხმებათა შესაბამისად. აღინიშნა აგრეთვე, რომ შეთანხმებისა და ურთიერთგაგების მიღწევა ლაოსის, სამ პოლიტიკურ ძალებს შორის ამ ქვეყანაში ზავისა და ეროვნული თანხმობის დამყარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა იმედი, რომ ლაოსში პრემიერ-მინისტრის დაბრუნების შემდეგ ლაოსის სამ პოლიტიკურ ძალებს შორის გაიმართება მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ საჭირო პირობები შექმნან კოალიციური მთავრობის ნორმალური საქმიანობისათვის.

ლაოსის კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი სსრ კავშირში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ლაოსის შემდგომ ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობის განვითარებას. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ლაოსის კოალიციური მთავრობის მეთაური პრინცი სუვანა ფუმა

მოსკოვი, 2 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირში მყოფი ლაოსის კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი პრინცი სუვანა ფუმა და მისი მეუღლე. ვნუკოვოს აეროდრომზე გაცილების დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და პრინცმა სუვანა ფუმამ მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს.

ხალხთა მეგობრობის მომღერალი

საზეიმო საღამო მიძღვნილი საიათნოვას დაბადების 250 წლისთავისადმი

დროის ძნელ გამოცდას გაუძლო დიდი სომეხი პოეტის, კომპოზიტორის, მუსიკოსის, მომღერლის საიათნოვას პოეზიამ.

მოსკოვი აღნიშნავს ამ შესანიშნავი, ჰუმანტურად სახალხო პოეტის დაბადების 250 წლისთავს. ამიტომ ასე ზეიმურად იყო მორთული 31 ოქტომბერს კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი. აქ შეიკრიბნენ ისინი, ვისთვისაც ძვირფასია დიდი აშუღის პოეზია. სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის — იმ ხალხების მწერლები, რომლებთანაც დაკავშირებულია საიათნოვას ცხოვრება, აგრეთვე რუსეთის, უკრაინისა და საბჭოეთის ქვეყნის სხვა რესპუბლიკების მწერლები.

— უკვდავი პოეტის ნათელი ნიჭი ჰუმანურად იმსახურებს მსოფლიო აღიარებას, ყურადღებასა და სიყვარულს, — ამბობს საზეიმო საღამოს გახსნაზე სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ა. სურკოვი.

ჩვენს დღეებში, როდესაც ადამიანები ეძებენ მეგობრულ დაახლოებას, ურთიერთგაგებას, უნდათ მეტი გაიგონ სიკეთეების მაძიებლე კაცობრიობის მიერ შექმნილ სულიერ სიმდიდრეზე, დიდი განმანათლებლების — პოეტების, მეცნიერების, მუსიკოსების, მხატვრების სახელები აერთიანებენ ხალხებს, — ნათქვამია მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ტიხონოვის სიტყვაში, რომელიც საღამოზე წაიკითხეს.

საიათნოვა — ხალხთა ამდენი უბედურებია, ნგრევა, ტირანთა თარეშს მოწმე — ეყო მშვიდობისა და მშვიდობიანი შრომის ადამიანი, ამბობს დასასრულ ნ. ტიხონოვი.

საიათნოვამ, რომელმაც გაერთიანა სომხეთისა და საქართველოს კულტურა, თავის პოეზიაში ასახა ამიერკავკასიის სამყარო — ამბობს ლიტერატურისმცოდნე ს. არუთინიანი. ფეოდალიზმის, ბატონყმობისა და რელიგიურ ცრურწმენების ეპოქაში იგი ლიტერატურაში გახდა სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის ხალხთა ერთიანობის დროშა. მის თვალწინ იყო მთელი მსოფლიო, მის სულს აღელვებდა ადამიანურ ენებთა ოკეანე.

ადამიანისადმი სიყვარულმა საიათნოვას პოეზია გახადა ცხოველმყოფელი, ჰუმანური. მაღლიერმა შთამომავლობამ კარგად იცის, რომ მისი ტრადიციები ცოცხლობს ო. თუმანიანის, ა. ისაკიანის, ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის შემოქმედებაში. საიათნოვა განსაზიერებულია სომხეთის საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსის ე. ჩარენცის საუცხოო სიმღერებში. დიდი პოეტის სახე აღფრთოვანებდა აგრეთვე აზერბაიჯანელ მამედ რაჰიმსაც.

— რა კარგია, — თქვა უკრაინის წარმომადგენელმა ივანე ლემ, — რომ საიათნოვასადმი მიძღვნილი დღეები, მილიონობით საბჭოთა მკითხველისათვის — პოეზიის მოყვარულთათვის გახდა ჰუმარიტად სახალხო დღესასწაული.

აზერბაიჯანის წარმომადგენელმა რესპუბლიკის სახალხო მწერალმა მირზა იბრაჰიმოვმა, საქართველოს წარგზავნილმა ლიტერატურის მცოდნემ გ. ბარამიძემ თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს საიათნოვას პოეზიის ინტერნაციონალიზმსა და ჰუმანიზმს.

მამედ რაგიმმა, სოლვა კაპუტიკიანმა, იოსებ ნონუშვილმა წაიკითხეს საიათნოვასადმი მიძღვნილი ლექსები.

საიათნოვას სიტყვა, რომელმაც არ იცის არც დროის, არც ეროვნულობის საზღვარი გაისმოდა იმ საღამოს სვეტებიან დარბაზში. მის ლექსებს კითხულობდნენ სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, რუსეთის პოეტები, მთარგმნელები, მსახიობები.

ПРОФКАВШИРТА XIII ყრილობა

მოსკოვი, 2 ნოემბერი. კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა პროფკავშირების XIII ყრილობა. დღეს ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის მესამე პუნქტის განხილვას. მოხსენება „ცვლილებები სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდებაში“ გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა **ა. ა. ბულგაკოვმა.**

მოხსენების დასასრულს დაიწყო ამხ. ბულგაკოვის მოხსენების განხილვა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდებაში ცვლილებათა შესახებ.

პირველი გამოვიდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ე. ტ. ჩერედნიჩენკო,** კურსკის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მეპაპარატე **გ. მ. ზაპოვალოვა,** მოლდავეთის პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ს. ხ. სიდორენკო,** „ტაჯიკიჰიდრომშენის“ საამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ნიაზოვი,** ლიტვის პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **პ. პ. დობროვოლსკისი,** ლვოვის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირების საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე **მ. პ. ფედიაევი.**

გულთბილად შეხვდნენ პროფკავშირთა XIII ყრილობის მონაწილენი მსოფლიოში პირველ კოსმონავტ ქალს **ვ. ვ. ტერეშკოვას.** შემდეგ გამოვიდა კუბიშევის პროფკავშირთა სარეწველო საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ს. გოდოვანი.**

ყრილობის მონაწილეებს მიესალმნენ: ცეილონის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ტილაკ კულასეკარა.**

ესპანეთის მშრომელთა წარმომადგენელი **ხოსე ველასკო,** „პრატუგალიის“ გვინეის მშრომელთა ეროვნული გაერთიანების გენერალური მდივანი **ლუის კაბრალი,** ბრაზილიის პროფკავშირთა ეროვნული ხელმძღვანელობის წარმომადგენელი **რაფაელ მარტინელი,** კოლუმბიის მოქმედების ერთობისა და პროფკავშირული სოლიდარობის კომიტეტის გენერალური მდივანი **ვინტურა პუენტეს ვანეგასი,** სამხრეთ აფრიკის პროფკავშირთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი **მოზეს მ. მობიდა,** ლიბანის პროფკავშირთა გენერალური მდივანი **ელიას ხაბრი,** სამხრეთ ვიეტნამის პროფკავშირთა წარმომადგენელი **ჩან ხოაი ნამა,** ნორვეგიის მეღითონეთა პროფკავშირის № 1 განყოფილების თავმჯდომარე **კორე მიურე.**

დამთავრდა კამათი ამხ. ბულგაკოვის მოხსენების გამო. შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დამტკიცდეს საკავშირო პროფსაბჭოს მიერ წარდგენილი სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა წესდება.

2 ნოემბერს საღამოს კრემლში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XIII ყრილობამ.

ყრილობის დელეგატები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ დარბაზში შემოსულ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ვ. ვ. გრიშინს, ლ. ნ. ეფრემოვს, ი. ვ. ანდროპოვს, ს. ნ. დემიჩევს, ლ. თ. ილიჩოვს, ვ. ი. პოლიაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. პ. რუდაკოვს, ვ. ნ. ტიტოვს, ა. ნ. შელეპინს.**

ვ. ვ. გრიშინმა გამოაცხადა, რომ გაიმართა ახლად არჩეული საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი და ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

ყრილობის დელეგატებმა უდიდესი აღმავლობით მიიღეს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

2 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირის პროფკავშირთა XIII ყრილობაზე არჩეული სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს პლენუმი.

პლენუმმა აირჩია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი 23 კაცის შემადგენლობით.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია **ვ. ვ. გრიშინი,** საკავშირო პროფსაბჭოს მდივნებად არჩეულ არიან **ა. ა. ბულგაკოვი, კ. ა. ბუსენოვი, ტ. ნ. ნიკოლაევა, პ. ტ. პიმენოვი, ვ. ი. პროხოროვი, ნ. ნ. რომანოვი, ი. ფ. შკურატოვი.**

პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ არიან **ა. ხ. ვეზიროვი, შ. ა. დოლიძე, ბ. ს. ეგოროვი, მ. ტ. ესაულოვა, ვ. ა. ივანოვი, ვ. კ. კლიმენკო, ვ. ი. კრესტიანინოვი, ი. ნ. მაკაროვი, ნ. ა. ნედოსეკინა, ს. ნურუტდინოვი, ვ. ა. პოდზერკო, ვ. გ. სილუიანოვი, ა. ა. სლეპუხინი, გ. პ. სოფონოვი, ე. ტ. ჩერედნიჩენკო.**

* * *

გაიმართა აგრეთვე პროფკავშირთა XIII ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია **ი. ა. ნოვიკოვი.**

(საკდესი).

მიღოცვა შრომითი გამარჯვების გამო

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიულოცეს იაკუტიის ასს რესპუბლიკის, მაგადანის ოლქისა და ჩუკოტკის ეროვნული ოლქის ოქროს მოპოვებითი და ალმასის მოპოვებითი მრეწველობის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს დიდი შრომითი გამარჯვება — ოქროსა და ალმასის მოპოვების წლიური გეგმის ვადამდე შესრულება ჩრდილო-აღმოსავლეთის ეკონომიურ რაიონში.

(საკდესი).

ВОЗДУШНАЯ ТРАССА ТБИЛИСИ — ТЕГЕРАН

ТБИЛИСИ, 2 ноября. (Корр. „Коммунист“). Сообщение Тбилиси — Тегеран, которое было прервано в 1960 году, возобновлено 31 октября. Первый рейс выполнил экипаж командира Ш. Ш. Ниорадзе. Самолет Ту-104 доставил в Тегеран 40 пассажиров.

Рейсы будут выполняться раз в неделю. Время полета — 1 час 40 минут.

ЗАРАЛИДАН ეკონომიისაკენ

ვიმუშაოთ რენტაბელურად, უარი ვთქვათ სახელმწიფო დოტაციაზე, მივიღოთ ზეგეგმითი დაგროვება, გამოვუშვათ მხოლოდ პირველი ხარისხის ნართი და ტრიკოტაჟი — ამ დევიზით დაიწყო ბრძოლა შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი დღიდანვე თბილისის ხრთავ-სატრიკოტაჟო კომბინატ-ის (დირექტორი გ. შარიქაძე) კოლექტივმა. დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა შრომის ტემპი. წარმატებით სრულდება ნაკისრი ვალდებულებანი.

საწარმოს კოლექტივმა ათი თვის გეგმა 13 ოქტომბრისათვის გაანაღდა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით 700 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა. გეგმის ზევით გამოშვებულია 25 ტონა ნართი და 300 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი. განვლილ პერიოდში დაზოგილია 92 ტონა ბამბა, 590 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 280 ტონა პირობითი საწვავი. ეკონომიამ დაფარა მთელი ხარჯები. მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 416 ათასი მანეთი.

ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად, შრომის უკეთესი ორგანიზაციით, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 2,5 პროცენტით გადიდდა, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 421 ათასი მანეთით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ № 1 სართავი, სამკერვალო და დაბერტყვის საამქროები, რომლებსაც უ. დათუნაშვილი, გ. ლეჟავა და ვ. გიორგაძე ხელმძღვანელობენ.

სად როგორ მიმდინარეობს საშემოდგომო თესვა

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავ შეჯიბრებაში **ახალქალაქის** საწარმოო სამმართველოში შემავალმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. აქ საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები დათესეს 3.401 ჰექტარი და ამით წლიურ გეგმას 821 ჰექტარით გადაჭარბეს.

თესვაში დაწინაურდნენ აგრეთვე **სარეხერის** საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სადაც საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 95,1 პროცენტით, ხოლო **გარდაბნის** სპეციალიზებული ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა თესვის გეგმა 73,7 პროცენტით შეასრულეს.

მაგრამ ყველგან ასე როდია. როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 25 ოქტომბრის ცნობებიდან ჩანს, თესვა ნელი ტემპით მიმდინარეობს **გურჯაანის** საწარმოო სამმართველოში, დათესილია მხოლოდ 9.970 ჰექტარი. გეგმა კი 22.702 ჰექტარს ითვალისწინებს. ასევე თესვის გეგმა სანახევროდაც არ შეუსრულებიათ **დუშეთის, ახალციხის, ამბროლაურის** საწარმოო სამმართველოებს. **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური** ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გეგმით საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები დასათესი აქვს 10.223 ჰექტარი. ეს სამუშაო ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. აღნიშნული სამუშაო შესრულებული აქვთ მხოლოდ 23,5 პროცენტით.

სულ რესპუბლიკაში დათესილია 118.214 ჰექტარი, წლიური გეგმის 53,8 პროცენტი. შარშან ამავე დროისათვის საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შესრულებული იყო 91,8 პროცენტით.

ი. ბროზ ჯიჯოს გამოსვლა

ბელგრადი, 2 ნოემბერი. (საკდესი). **გუშინ ბელგრადში დაბრუნდა პრეზიდენტი ი. ბროზ ტიტო, რომელმაც აეროპორტში თქვა, რომ ბრაზილიაში, ჩილეში, ბოლივიასა და მექსიკაში ვიზიტის დროს მან განიხილა ამ ქვეყნების პრეზიდენტებთან ურთიერთთანამშრომლობის მრავალი საკითხი და საერთაშორისო პრობლემები. ჩვენი თვალსაზრისები განიარაღების, ატომური იარაღის ლიკვიდაციისა და მისი გამოცდის შეწყვეტის, სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი დახმარების გაწევის საკითხებსა და კოლონიურ საკითხზე ერთმანეთს დაემთხვა, დასძინა მან.**

იუგოსლავიის პრეზიდენტმა თქვა, რომ მისი საუბრები პრეზიდენტ კენედისთან „მეტად მეგობრული ტონით“ მიმდინარეობდა. ამ საუბრების დროს მოხდა აზრთა გაზიარება ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსა და საერთაშორისო პრობლემებზე. ჩვენ, დასძინა ი. ბროზ ტიტომ, დავრწმუნდით, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა შეიძლება გაუმჯობესდეს ყოველმხრივ.

დასასრულ ი. ბროზ ტიტო შეეხო თავის გამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და აღნიშნა, რომ გაუმჯობესდა საერთაშორისო ატმოსფერო.

გაათავისუფლეს კომუნისტთა ჯგუფი

დელი, 2 ნოემბერი. (საკდესი). ინდოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ გაათავისუფლეს კომუნისტური და პროფკავშირული მოძრაობის მოღვაწეები, რომლებიც წინათ დაპატიმრეს ინდოეთის სხვადასხვა შტატში ინდოეთის „თავდაცვის კანონის“ შესაბამისად, გუშინ კალკუტის საპყრობილეებიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოუშვეს ინდოეთის კომუნისტური პარტიის ექვსი წევრი, რომლებიც დასავლეთ ბენგალიის ხელისუფლებამ დაიპატიმრეს.

უტარ პრადეშის შტატში გაათავისუფლეს ოთხი კაცი, მაგრამ იქ საპყრობილეში კიდევ 22 კომუნისტია.

გეჯერათის შტატის მთავრობამ, იუწყება პრეს-ტრასტ ოფ ინდიას სააგენტო, გამოიტანა დადგენილება კომუნისტური მოძრაობის სამი მოღვაწის ჩამან მეჰტის, ჰანუმან სინგჰისა და აბდულა რეზაკის განთავისუფლების შესახებ, რომლებიც დაპატიმრეს ინდოეთის „თავდაცვის კანონის“ შესაბამისად.

ეთანხმება ძალაში შევიდა

ალჟირი, 2 ნოემბერი. (საკდესი). ალჟირიდან რადიომ გადასცა, რომ 2 ნოემბერს შუალამისას გრინვიჩის დროით ძალაში შევიდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ალჟირსა და მაროკოს საზღვრებს შორის. ეს შეთანხმება მიღწეულ იქნა ალჟირის, მაროკოს, ეთიოპიისა და მალის სახელმწიფოთა მეთაურების თათბირზე.

საღამოს 1 ნოემბერს ალჟირის პრეზიდენტმა ბენ ბელ

დიდი გზის მგზავრი

მკითხველის ნარკვევი

ᲐᲩᲥᲐᲠᲒᲘᲗ მივაბიჯებ მთის ბილიკზე. მიტაცებს ბუნების მრავალფეროვნება. ჩემს თვალწინ უფრო და უფრო მაღლდებიან კავკასიონის მწვერვალები იალაღების ომბოწვნა-მოყვითლო ზოლს ახლად ჩამოთოვლილი ჭიუხების სითეთრე ცვლის. შორს მარადიული ყინულების სამყარო — „ხევის პატარძალი“ წამომართულა და თავი ზღვისფერი ლაჟვარდისათვის მიუბჯენია.

ჯუთის მთიდან აფრენილმა არწივმა დასავლეთისაკენ აიღო გეზი, არწის ქედისაკენ დაუხვია. უცებ ომახიანმა ხმამ გაჰკვეთა სივრცე. ქვეშიან გორაკზე შემდგარი მეცხვარე ამაყად მიჰყიოდა ფრინველთა მეფეს და ხელში შვინდის გრძელ კომბალს ატრიალებდა.

ნირი წაუხდა არწივს, ვეღარ გაბედა დასცემოდა ჩანჩქერებთან გაშლილ ფარას. ფრთა აითრია. მიმართულება შეიცვალა და სადღაც კლდიან ორწოხებში გაუჩინარდა...

მაინტერესებს მამაც მწყემსთან შეხვედრა. ნაბიჯს ვუმატებ. ბილიკიდან ბილიკზე გადავდივარ, ფარას ვუახლოვდები.

უწყინარი პირუტყვი ძოვით მიიწევს თერგის ხეობისაკენ. მთის ნოყიერ ბალახს ეშურება. თითქოს ცხვარმაც იცის, რომ მისი მოსამგე ადამიანები რამდენიმე დღის შემდეგ ნოლაეთის ტრამალზე დასცემენ კარავს. დადუმდებიან კავკასიონის იალაღები.

მეცხვარეები ცდილობენ წარმატებით გადარეკონ ფარები საზამთრო საძოვრებზე, არ დაუშვან პირუტყვის სიკვდილიანობა.

ფრთხილია ჩემი ნაცნობი მეცხვარე. თვალს არ აშორებს ცის უკიდეგანო სივრცეს, ეშინია მტაცებელი ფრინველი არ დაეცეს სამწყესოს.

ვარდო ღვინიაშვილმა კარგად იცის არწივის ფანდი. ფრინველთა მეფე ადვილად არ მოსცილდება ფარას. ახლომახლო იტრიალებს და...

ჩემს მისალმებაზე მოძალებული ფიქრებიდან მალე ერკვევა მწყემსი. შეხვედრის სიხარულით ებადრება სახე. ხელს მართმევს.

— ხომ მშვიდობაა? — ვეკითხებით ერთმანეთს.

— არწივები მომრავლდნენ. ფარებს ეტანებიან... გაჭირდა თავდაცვა.

— როგორ, არწივს ცხვრის მოტაცება შეუძლია! — გაკვირვებით ვეკითხები ძია ვარდოს.

— მეტიც შეუძლია. არწივს უთქვამს, „სისხლში კლანჭები რომ არ დამილბებოდეს, საკორწილო ქალ-ვაჟს მოვიტაცებდიო“...

— საოცარია. მერე და თოფი სადა გაქვს?

— რაღა დროს ჩემი თოფია. დავბერდი. იარაღით ახლა ახალგაზრდები ხარობენ.

— მოხუცებულობა არ გემჩნევა. პირიქით. შენს სიჭარბაგეზე და ჭაბუკურ ენერგიაზე ბევრს ლაპარაკობენ შენი თანასოფლელები.

— ლაპარაკი ერთია, საქმე მეორე. მწყემსობაში გავჭაღარავდი. ფეხით მაქვს გაცვეთილი ნოლაეთის გზა. ამ გზასაც ბევრი ქალამანი გაუცვეთია ჩემთვის და ბევრი ღიმილი და ზუხილიც მიუბარებია. წელს ოცდამეათედ შევხვდავ კასპიისპირეთის ცას და რა საკვირველია, სიბერეს ვუჩიოდე.

— არ დაიდარდო. დაე სამოცდაათჯერ შეგეხედოს კასპიისპირეთის ცისათვის. 180 წყვილ ქალამანი კიდევ გაგეცვითოს ამ დიდ გზაზე, კეთილო მგზავრო.

სიამოვნების შუქი მოეფინა ვარდოს. არწივის თვალი მოავლო არწივთა სამეფოს და კვლავ ტკბილად ალაპარაკდა:

— ბრიგადაში ვეფხვივით ბიჭები მყავან, მტაცებლობას არწივს კი არა, ღმერთსაც არ ანებებენ.

— ასე სჯობია. ამბობენ, ყველაზე კარგი ერთგულება მეცხვარეებმა იციანო. ერთგულება კაცისთვისაც და ცხვრისთვისაც.

— როგორ შეგვიძლია სხვანაირად მოვიქცეთ. ჩვენი სიხარული და სიამაყე ფარაა, ოჯახი კი ფარეხი, სადაც ერთიმეორეს ვხვდებით და ვებაასებით, ფმსჯელობთ და ვხუმრობთ.

მართლაც საინტერესოა მწყემსის ცხოვრება. ამ უბრალო და მამაც ადამიანებს ფარების მიტოვება ცოცხლად არ შეუძლიათ. ამას ადასტურებს ვარდო ღვინიაშვილის ცხოვრება და საქმიანობა. მას სთხოვეს ერთი წელი მაინც დაეცვენა, ოჯახში ყოფილიყო, მახლობლებთან ეტრიალა. მაგრამ ამაოდ... ცხვარში წასვლა არჩია სახელოვანმა თავჩოხანმა.

ვარდოს უარი მაინცდამაინც არ სწყენია თიანეთის რაიონის ზარიძეების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობას. არ სწყენია, რადგან ვარდოსთანა მცნობარს და საქმის ერთგულ კაცს ადვილად ვერ იშოვი.

სამოც წელს მიუკაკუნა ვარდომ თავისი მეცხვარული კომბალი, და გული არ შეშინებია. იხე საუბარში თუ დაინჩივლებს, გავჭაღარავდიო, თორემ გული ახალგაზრდული აქვს.

ამხანაგებიც ისე უყურებენ, როგორც სიკეთის მაცნეს, მასწავლებელსა და დამრიგებელს. ვარდოს მაგალითით ბევრი მისი თანასოფელელი მწყემსი შრომობს, ბევრმა ახალგაზრდამ არჩია მწყემსის პროფესია.

საზამთრო საძოვრებზე ექვსი ათასამდე ცხვარი და თხა გაამგზავრა ზარიძეების კოლმეურნეობამ. ორიათასიან ფარას თვითონ ვარდო ღვინიაშვილი უდგას სათავეში. იგი წინ მიუძღვის ამხანაგებს, და მათაც სჯერათ, რომ არაფერი გაუჭირდებათ.

დიდი ოქტომბრის ორმოცდამეექვსე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგენენ მეცხვარეები. ვარდომ პირველმა იკისრა გადიდებული ვალდებულება: „თვითეულ ცხვარზე 3 კილოგრამამ მატყლი, პირუტყვის საკვებლიანობის ლიკვიდაცია, ჩამორჩენილი ბრიგადებისათვის დახმარება“...

იკისრა ბერიკაცმა და აკეთებს კიდეც. კასპიისპირეთში გამგზავრების წინ, როცა კოლმეურნეობის კანტორაში შეიარა, ანარეს: „პირობა განაღდებული გაქვს, ახლა შენ იცი, როგორ იმგზავრებო“...

მგზავრობა ჩვეულებრივი მოვლენაა ვარდოსათვის. მას ვერც ძნელი და დიდი გზით შეაშინებ, ვერც სიცივითა და უამინდობით. რვა დღეა მგზავრობს და არც ერთი ცხვარი არ დაჰკლებია.

ბაასით ძივყვებით სნოს მთის კალთას ვარდო და მე. ვცდილობ ბევრი გავიგო გამოცდილი ხარკალის ცხოვრებიდან. იგი კი სიტყვაძუნწობს, არ უნდა ქვეყანას გაეგებინოს ფშაველი კაცის კაიკაცობა.

ცხვარმა თერგის ჭალაზე გაივაკა, მარჯვნივ აიღო გეზი და დარიალის ვიწროებს მიაშურა. ამ დროს შუდარა კოკოზაშვილის ღიღინი შემოგვესმა:

„ჩამოგვითოვა ქედები,
მწყემსო, აჰყარე ცხვარია,
არა მოგწყინდა მთაშია,
არა მოგინდა ბარია?“...

მეცხვარის სიტყვები ბობი ხმით გაიმეორეს შავჩოხიანმა კლდეებმა. ვარდომ კი სევდიანად ამოღერღა:

— მთიელს მთაში რა მოაწყენს! მოვალეობაა და საქმის სიყვარული, თორემ...

სწორედ საქმის სიყვარულმა იცის წარმატება. ზარიძეელმა მშრომელებმა სამშობლოს 140 ცენტნერი მატყლი რომ მისცეს, ამ საქმეში ვარდო ღვინიაშვილს და მისი ბრიგადის წევრებსაც მოუძღვით წვლილი.

უფრო დიდია ახალი მიზანი. ვარდოს გადაუწყვეტია მაღალი მაჩვენებლები მოიპოვოს მომავალ დოლში.

— მომავალ წელს 100 ცხვარზე 99 ბატკანს მაინც გავზრდი, თვითეული ცხვრის ნაპარსს სამნახევარ კილოგრამამდე გავადიდებ, — თქვა თავჩოხანმა და შეასრულებს კიდეც.

ამაყად მიაბიჯებს დიდი გზის მგზავრი ახალი გამარჯვებებისაკენ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ,
თიანეთი, ოქტომბერი.

ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲠᲫᲝᲚᲔᲑᲚᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ახალგაზრდას დავაჟკაცების ასაკში იწვევენ. არმიაში სამსახურის დროს ახალგაზრდა იწრთობა ფიზიკურად და სულიერად, ეჩვევა მტკიცე დისციპლინას, სიძნელეთა გადალახვას. ბევრი აქვე, არმიაშივე ეუფლება სასურველ პროფესიას. ამიტომ არის, რომ სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ ახალგაზრდა უფრო დინჯი, ჭკუადამჯდარი და ცხოვრებაში ღრმად ჩახედული უბრუნდება თავის სამშობლო უბანს — კოლმეურნეობას, საწარმოს თუ სასწავლებელს.

რედაქცია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მრავალ წერილს იღებს იმ ახალგაზრდებისაგან, რომლებიც საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობენ. ისინი გვწერენ თავიანთ, აგრეთვე ამხანაგების ცხოვრებასა და მეცადინეობაზე, გვიზიარებენ მომავლის გეგმებს, აინტერესებთ ჩვენი რესპუბლიკის ამბებიც. მოგვდის აგრეთვე მეთაურთა წერილები, რომლებშიც ისინი გვწერენ წარჩინებულ ქართველ ჯარისკაცებზე.

ᲒᲐᲖᲗᲠᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲖᲗᲝᲜᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲒᲕᲣᲗᲛᲝᲗ ᲛᲘᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲑᲐ ᲛᲔᲒᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ! მოგვწერეთ წერილები ამ თემაზე, მოგვწერეთ თქვენს ცხოვრებასა და საქმიანობაზე, სამხედრო სამსახურზე, კომკავშირზე, მეგობრობაზე... კერძოდ:

1. რა მოგცათ არმიაში სამსახურმა?
2. რომელი იყო ყველაზე ღირსსახსოვარი დღე თქვენს საბრძოლო ცხოვრებაში.
3. როგორია თქვენი მომავლის გეგმები?
4. რაზე გინდათ, რომ ხშირად წერდეს ჩვენი გაზეთი, რა უფრო გაინტერესებთ?

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲑᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ, ᲕᲔᲚᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ!

ᲛᲨᲝᲒᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ᲔᲠᲗᲘ წელია, რაც მელიტონ და მარიამ თულოვებმა თავიანთი ვაჟი — ყაზბეგი საბჭოთა არმიის რიგებში გაისტუმრეს. და აი ამასწინათ სამხედრო ნაწილიდან მშობლებმა მიიღეს მადლობის წერილი შვილის კარგი აღზრდისათვის. წერილში ნათქვამია:

„კმაყოფილებით გაცნობებთ, რომ თქვენი შვილი ყაზბეგი სამხედრო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულია. პირნათლად ასრულებს დავალებებს, იმაღლებს ცოდნას, რის გამოც ნაწილში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს“.

წერილს ხელს აწერენ სამხედრო ნაწილის მეთაური და სხვები.

Ც. ᲗᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ ᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

ᲗᲣᲚᲘᲡ საარტილერიო სასწავლებელში მოვიდა შავგვრემანი ქართველი ჭაბუკი ნოდარ ხუნჯუერია (ზუგდიდის მკვიდრი).

უბრალო ჭაბუკმა სულ მალე ბიჯითი სწავლითა და შრომით სანიმუშო მებრძოლის სახელი დაიმკვიდრა.

ნოდარი მოწინავე სპორტსმენიც არის. მას მეორე თანრიგი აქვს ჭიდაობაში და სასწავლებლის ჩემპიონია შაშში. გატაცებულია აგრეთვე ფეხბურთითა და ჭიდრაკით.

ᲐᲮᲚᲐ ჩვენი სასწავლებელი საბჭოთა არმიის 45-ე წლისთავის აღსანიშნავად ემზადება. ამ თარიღთან დაკავშირებით გვინდა მთელი საარტილერიო სასწავლებლის სახელით ვუთხრათ ნოდარის მშობლებს და ნოდარის სკოლის მასწავლებლებს: „ᲘᲛᲘᲠᲐᲕᲚᲝᲜ ᲘᲡᲔᲗᲘᲗᲐ ᲨᲐᲑᲣᲙᲔᲑᲗᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲜᲝᲓᲐᲠᲘᲐ. ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ ᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ“...

ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ Ი. ᲯᲘᲠᲚᲝᲕᲘ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲛᲘᲜᲓᲐ მოგწეროთ ჩემს ამხანაგსა და მეგობარზე არჩილ ბორჩხაძეზე, ამაზე, ვინც ჩემთან ერთად მსახურობს საბჭოთა არმიის რიგებში.

არჩილი თითით საჩვენებელი ჯარისკაცია ჩვენს ნაწილში, წარჩინებით ეუფლება სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას, სამაგალითოა ყველა თავისი ამხანაგისათვის. ბევრ ჩვენგანზე მეტი ცოდნა და განათლება აქვს და ძალღონეს არ იშურებს, რომ დაგვეხმაროს, თავისი ცოდნა გაგვიზიაროს მეგობრებსა და ამხანაგებს.

ვიცი, რომ ეს სიბეჯითე და შრომისმოყვარეობა მოსდგამს ოჯახიდან, სკოლიდან, კოლმეურნეობიდან, სადაც იზრდებოდა, სწავლობდა და მუშაობდა. არმიაში გაწვევამდე არჩილი ბრიგადირად მუშაობდა მანარეძის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში.

ჩემი ნაწერის მეთაურების, ამხანაგების სახელით მინდა გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მადლობა ვუთხრა მათ ასეთი კარგი ვაჟკაცის აღზრდისათვის.

Ჯ. ᲙᲘᲙᲕᲐᲫᲔ,
რიგითი ჯარისკაცი.

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲮᲐᲠ...

სიტყვა დახლის კარგ მუშაკზე

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ სოფლის კოოპერატივის № 6 მაღაზია. იგი ემსახურება გვიშტიბის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს და ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს.

როცა ამ პატარა მაღაზიაში შეიხედავ, გინდა თუ არა, რაიმე უნდა შეიძინო. დაძალებით არავინ გაიძულებს, მაგრამ, როგორც ტყვიარ, თვალი სვამს და თვალ ჭამს, შებედავ სუფთად, აკურატულად განლაგებულ საქონელს და ყიდვა მოგინდება.

აქ, გარდა სურსათისა, შეიძლება ყიდო ქსოვილები, სამკერვალო ნაწარმი, ფეხსაცმელი, საგალანტერიო და საპარფიუმერო საქონელი, წიგნები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

საკვერო დარბაზი დიდი როდია. მაღაზიას არც სპეციალური სექციები აქვს და არც სექციების გამგეები ჰყავს. აქ სულ ორი კაცი მუშაობს. მაგრამ საქონელი ცალკე განყოფილებების მიხედვით ისე ღიად არის გადმოლაგებული, რომ მომხმარებელს ყოველთვის შეუძლია მისთვის საჭირო ნიმუში შეარჩიოს.

მაღაზიის გამგე-გამყიდველი ჯიბილო დოლბერიძე ეხმარება მყიდველს, მას მომხმარებელი ენდობა ამა თუ იმ საქონლის შერჩევაში.

გვიმტიბელმა კოლმეურნემ ილარიონ კიბურაშვილმა ელექტრომრიცხველზე მიაკითხა მაღაზიას.

— ახლა არა მაქვს, ბიძია. ვიცი, რაიკოოპკავშირმა მიიღო. თუ ძალიან არ გეჩქარება, ორ დღეში მოვიტან, — თავაზიანად მიმართა დახლის მუშაკმა კოლმეურნეს.

მეორე ღღესვე სოფლის მაღაზიაში ელექტრომრიცხველები გაჩნდა. ვადამდე შესრულა კოლმეურნე მომხმარებლის შეკვეთა. ელექტროსაკონტროლო ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმაც შეიძინეს.

მოკლეა შემოდგომის დღე, ადრე ჩამოწვა ბინდი. სოფლის მაღაზიაში კი, როგორც ყოველთვის, ახლაც, ამ საღამოს ხალხმრავლობაა. ვინ რა საქონელს ირჩევს, ვინ რას ყიდულობს. აბა სამუშაო საათებში არც 70 წლის კოლმეურნეს ნესტორ ჩიხლაძეს სცალია და არც ჩაის ფაბრიკის ახალგაზრდა ინჟინერს კუკური ჭავჭახიძეს. ორივეს უყვარს აქ შემოვლა, თავიანთი მაღაზიაც უყვართ და მისი გამგე-გამყიდველიც.

— ჩვენი ჯიბილო უბრალოდ გამყიდველი როდია, იგი თავისი საქმის ნამდვილი ენთუზიასტიც არის, — ასე ამბობს ყველა, ვინც მას იცნობს.

ადრე არასოდეს არ უფიქრია ჯ. დოლბერიძეს გამყიდველი გამხდარიყო. არ უფიქრია, მაგრამ ასე კი მოხდა.

1950 წელს იგი საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ჩამოვიდა სოფელში. მაშინვე კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. ახალგაზრდობის მიუხედავად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ერთხელ სოფლის თავკაცებმა ჯიბილო მიიწვიეს. ესაუბრნენ მას, უთხრეს, რომ ამ ერთ წელიწადში მაღაზიამ სამი გაძგე გამოიცვალა. ზოგი დანაკლისის გამო მოსსნეს, ზოგიც მომხმარებელთა მოტყუებისათვის. დახლთან სწორედ ისეთი კაცია საჭირო, რომელსაც მთელი სოფელი იცნობს, ხალხიც ენდობა. შენზე უკეთესი აღსანიშნავია ის დიდი მატერიალური დახმარება, რომელსაც სკოლას უწევდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სათავადაზნაურო ბანკი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. სწორედ საერთო ძალის შემწეობითა და დახმარებით შეძლო ილია წინამძღვრიშვილმა აღნიშნული სკოლის არსებობის არამცთუ შენარჩუნება, არამედ შემდგომი გაფურჩქნა და გაძლიერება.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა ამზადებდა სპეციალისტებს მიწათმოქმედებაში, მებაღეობაში, მევენახეობაში, მეღვინეობაში, მებოსტნეობაში, მეაბრეშუმეობაში, მესაქონლეობაში, მეფრინველეობაში, მეფუტკრეობასა და მეტყეევეობაში. სკოლაში იღებდნენ 10-12 წლის ბიჭუნებს წიდების, ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად.

სრული თეორიული და პრაქტიკული კურსის გავლისათვის საჭირო იყო 6 წელიწადი. სკოლის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მოემზადებინა შვგნებული, მცოდნე მეურნეები, რათა მათი საქმიანობა სამაგალითო ყოფილიყო სხვებისათვის, რომ ხალხის ფართო მასებში დამკვიდრებულიყო სოფლის მეურნეობის მართვის უახლესი წესები.

ილია წინამძღვრიშვილი მუდამ ხაზს უსვამდა იმას, რომ სკოლა და პრაქტიკა მჭიდროდ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული. მარტო წერა-კითხვის ცოდნა, სოფლის მეურნეობის და ხელობის უცოდინრად, ვერ აამაღლებს ხალხის ნიჭიერ და ზნეობრივ მდგომარეობას, მეორე მხრივ, თეორიული მომზადება თუ არ იქნა, მიწის დამუშავების მხოლოდ პრაქტიკულ ცოდნას არ შეეძლია სათანადო ნაყოფის მოტანა, ამიტომ სწავლასა და მეურნეობას განუწყვეტელი კავშირი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან.

სწავლების აღნიშნული მეთოდის გამოყენების შედეგად მოსწავლეები გაკვეთილზე მოსმენილს ან წიგნში წაკითხულს მაშინვე პრაქტიკულად ამოწმებდნენ იქვე, სასწავლო მეურნეობაში, სადაც წარმოდგენილი იყო ვენახი, ხეხილი, ბოსტანი, სანერგე და სხვ. მოსწავლეები ფიზიკურად მუშაობდნენ აღნიშნულ ვენახში, ბაღში, ბოსტანში, უვლიდნენ ფუტკარს, აბრეშუმის ჭიას, სახელოსნოში თვითონ ამზადებდნენ და რემონტს უკეთებდნენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, სწავლობდნენ დურგლობას, მჭედლობას, ზეინკლობას, მეკასრეობას და სხვა ხელობას. ყველა აღნიშნულ სამუშაოს მოსწავლეები ასრულებდნენ პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლების მუდმივი მეთვალყურეობითა და მითითებით.

სკოლამ მონაწილეობა მიიღო 1889 და 1901 წლებში მოწყობილ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში, სადაც წარდგენილი იყო მცენარეები და ცხოველები. ჯილდოდ მიიღო ბრონზის medal.

1913 წლის სექტემბერში დიდი ზეიმით აღინიშნა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის 30-ე წლისთავი. საიუბილეო ზეიმზე წინამძღვრიანთკარში ჩამოვიდნენ საქართველოს მრავალი კუთხიდან. ქართველი საზოგადოებრიობა დიდ მადლობას უხდიდა ხალხს მხცოვან მზრუნველს ილია წინამძღვრიშვილს საზოგადო საქმეში ასეთი მხნეობისა და თავდადების გამოჩენისათვის.

ამ საზეიმო მიტინგზე ილია წინამძღვრიშვილისა და მისი დაარსებული სკოლის სადიდებლად მრავალი სიტყვა წარმოთქვა. სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე დიდმა აკაკიმ:

...„სასწავლებელი ბევრი გვაქვს: საქალაქო გიმნაზიები, სხვადასხვანაირი სკოლები, ეხლა კიდევ უმაღლეს სასწავლებელსაც გვპირდებიან, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ისე ვერ გვხიბლავს ჩვენ, ქართველებს, როგორც ეს შენი პატარა სკოლა...“ — მიმართა აკაკიმ წინამძღვრიშვილს.

ი. წინამძღვრიშვილის პირველი სახელმძღვანელოა „ვაზის მოშენება“, რომელიც გამოცემულ იქნა 1889 წელს. ავტორს ამ წიგნში შესანიშნავად აქვს გამოყენებული იმ დროის უახლესი მიღწევები ვაზის გაშენებისა და მოვლის საქმეში, იგი წარმოადგენს თავისი დროისათვის ბრწყინვალე სახელმძღვანელო წიგნს. თავისი მეორე სახელმძღვანელო მიწათმოქმედების შესახებ მან გამოსცა ღრმა მოხუცებულობის პერიოდში — 1920 წელს. წიგნს წამძღვარებული აქვს შემდეგი ბრძნული გამოთქმა:

„დედამიწაა ძარღვი ყოველ ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებისა“.

ამ სახელმძღვანელოში ავტორი თავის მოსწავლეებს აძლევს მოკლე ცნობებს კულტურული მიწათმოქმედების შესახებ.

ილია წინამძღვრიშვილის სახელმძღვანელოებს თავის დროზე უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა და მათ დღესაც არ დაუკარგავს ფასი, როგორც ისტორიულ ფაქტს და საუკეთესო მემკვიდრეობას.

ილია წინამძღვრიშვილის საქმიანობა სამაგალითო გახდა მთელ საქართველოში. მას აღმოუჩენდნენ მიმბაძველები ჩვენი პატარა ქვეყნის აღმოსავლეთსა და დასავლეთში, მაგრამ ეს იყო უმთავრესად კერძო ინიციატივის შედეგი, რაც მოკლებული იყო სიმტკიცეს. ცარიზმის პირობებში განათლების საქმეს მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. ამიტომ როგორც სხვა დარგს, ისე სოფლის მეურნეობის კადრების მომზადების საქმე ჩვენში სრულიად დაბალ დონეზე იდგა.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც ჩვენში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, შესაძლებელი გახდა სახალხო განათლების ძირფესვიანად გარდაქმნა. რევოლუციამდელ საქართველოში, იმ დროს, როდესაც ილია წინამძღვრიშვილს უხდებოდა მოღვაწეობა, არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებს 18 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის სამი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტია, რომლებშიც 15 სპეციალობაზე 15 ათასამდე სტუდენტი სწავლობს. თუ ოთხმოცი წლის წინათ საქართველოში კერძო ინიციატივით ძლივს აღმოცენდა ერთადერთი — წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელშიც 22 მოსწავლე სწავლობდა, დღეს რესპუბლიკაში გვაქვს 31 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომლებშიც 8 ათასამდე მოსწავლე სწავლობს, მათ შორის ჯეროვანი ადგილი უჭირავს პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის ბაზაზე აღმოცენებულ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს, რომელიც შესანიშნავად აღრმავებს და ავითარებს წინამძღვრიშვილის ტრადიციებს.



ᲘᲚᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲐᲜᲗᲙᲐᲠᲘᲡ სასოფლო-სამეურნეო სკოლამ თავისი არსებობის 50 წლის განმავლობაში (იგი 1933 წელს გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად) გამოუშვა 800-მდე სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. ამჟამად კი ჩვენი უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები ყოველწლიურად უშვებენ 2.000-2.500 სოფლის მეურნეობის სპეციალისტს.

ასეთია ის საგულისხმო მემკვიდრეობა, რომელსაც 80 წლის წინათ დიდი ჯაფით საფუძველი ჩაუყარეს ჩვენმა წინაპრებმა და რომელიც შემდეგ გაიფურჩქნა, აყვავდა და გაიზარდა და ჩვენს დროში მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობის შედეგად მეტად მძლავრ ძალად გადაიქცა.

პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო სკოლის 80 წლისთავისათვის

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ

Ზ. ᲒᲔᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი

ᲐᲮᲚᲘᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ექსპონატებს მოწონება ხვდა, რის გამო სკოლა დაჯილდოებულ იქნა ორი ვერცხლისა და ერთი პატარა ოქროს მედლით. მოსწავლეთა მიერ დამზადებული სკამები, დივანი და მაგიდა იმდენად კარგი ყოფილა, რომ იგი დიდად მოსწონებია და შეუძენია კიდეც თვით მეფის ნაცვალს კავკასიაში — გოლიცინს.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელმა სულ მოკლე ხანში მოიპოვა წარმატებები, რაც ახარებდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი ამ სკოლის შესახებ წერდა:

„ჩვენში მხოლოდ წინამძღვრიანთკარის სკოლა ადგია მტკიცედ და შეუფუყვლად ამ დალოცვილსა და ჭეშმარიტ გზას განათლებისას, მარტო იგი ასრულებს ძირითად ცნებას პედაგოგიკისას, მხოლოდ მას უპყრია ხელში დროშა გონებრივის წმიდა ნათლისა, მარტო იგია მოშორებული კომლსა და ღრჩოლვას, რომელიც მეტ-ნაკლებობით ტრიალებს ყველა სხვა სასწავლებელში და სულს უხუთავს მოზარდ თაობას“.

ამ ერთი ადამიანის მოღვაწეობაც კი ცხადყოფს, თუ როდენ ბევრის გაკეთება შეუძლია დახლის მუშაკს ხალხის სამსახურის კეთილშობილურ სარბიელზე.

Შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲐᲮᲚᲘᲡᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲛᲑᲭᲔᲓᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲠᲫᲝᲚᲔᲑᲚᲘ

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ახალგაზრდას დავაჟკაცების ასაკში იწვევენ. არმიაში სამსახურის დროს ახალგაზრდა იწრთობა ფიზიკურად და სულიერად, ეჩვევა მტკიცე დისციპლინას, სიძნელეთა გადალახვას. ბევრი აქვე, არმიაშივე ეუფლება სასურველ პროფესიას. ამიტომ არის, რომ სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ ახალგაზრდა უფრო დინჯი, ჭკუადამჯდარი და ცხოვრებაში ღრმად ჩახედული უბრუნდება თავის სამშობლო უბანს — კოლმეურნეობას, საწარმოს თუ სასწავლებელს.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მრავალ წერილს იღებს იმ ახალგაზრდებისაგან, რომლებიც საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობენ. ისინი გვწერენ თავიანთ, აგრეთვე ამხანაგების ცხოვრებასა და მეცადინეობაზე, გვიზიარებენ მომავლის გეგმებს, აინტერესებთ ჩვენი რესპუბლიკის ამბებიც. მოგვდის აგრეთვე მეთაურთა წერილები, რომლებშიც ისინი გვწერენ წარჩინებულ ქართველ ჯარისკაცებზე.

**ᲒᲐᲖᲗᲠᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲕ

ეს ერთი ხანია მდინარე ნილოსზე გაჩაღებული ასუანის კაშხალის მშენებლობიდან, რომელიც სწარმოებს საბჭოთა კავშირის დახმარებით არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში (ეგვიპტე), საამოგზაურო შვებულებით ჩამოვიდა საბოთო ინჟინერი ამირან თევზაძე. ვბეჭდავთ ინჟინერ ა. თევზაძის ნაბეჭდს, რომელშიც მოთხრობილია ასუანის კაშხალის მშენებლობაზე მყოფი საბჭოთა სპეციალისტების, კერძოდ, ქართველი სპეციალისტების, შრომისა და ყოფაცხოვრების შესახებ.

საუბარი ჩაწერა მ. ქორიძემ.

□ □ □

ქართველი სპეციალისტების „კოლონია“ საგრძნობლად მრავალრიცხოვანია და სახელიც მათ ასუანელ მშენებლებს შორის კარგი აქვთ, — თქვა ინჟინერმა ა. თევზაძემ. მონდობილი გვაქვს უნიკალური კვეთის გვირაბების მშენებლობა, რომლებმაც თავის დროზე მთლიანად უნდა გაატარონ მსოფლიოში ამ უდიდესი მდინარის — ნილოსის მთელი ჩამონადენი. ამ დიდად პასუხსაგები სამუშაოების მინდობა ქართველი სპეციალისტებისათვის აიხსნება იმით, რომ საქართველოში ჰიდროტექნიკური დანიშნულების გვირაბმშენებლობაში ჩვენს სპეციალისტებს დიდი გამოცდილება აქვთ და მათთვის ძნელი არ იქნება ასუანის დიდდიამეტრიანი გვირაბების გაყვანაც. ეს ვარაუდი, შეიძლება ითქვას, სავსებით გამართლდა.

ასუანში ჩვენს გვირაბმშენებლებს გაჰყავთ ექვსი პარალელური მიმართულების გვირაბი, თითო ცხრამეტი მეტრის დიამეტრისა. შედარებისათვის თუ ვიტყვით, ყოველი ასეთი კვეთის გვირაბს შეუძლია გაატაროს დაახლოებით ოთხი და კიდევ მეტი ისეთი მდინარის მთელი ჩამონადენი წყალი, როგორიც ჩვენი მტკვარია. გვირაბგაყვანა სწარმოებს ე. წ. იარუსული მეთოდით, ე. ი. ჯერ გაჰყავთ გვირაბის შუა წელზევითა ნაწილი, შემდეგ შუაქვედა ნაწილი.

როცა გვესმის თბილისის ხმა

სამუშაოები ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ მომავალ წელს შესაძლებელი იქნეს ამ გვირაბებით წყლის გაშვება, რათა ფელახებს (ეგვიპტელ გლეხებს) საშუალება მიეცეთ შეუფერხებლად აწარმოონ მორწყვა ძველი წყალსაცავიდან, რომელიც ახლა ძველივე არხით ივსება, ხოლო ნილოსის გადაკეტვის შემდეგ ახალი გვირაბებიდან გატარებული წყლით უნდა შეივსოს.

ასუანის კაშხალი, რომლის შესახებაც ბევრი რამ დაიწერა საბჭოთა პრესაშიც, მართლაც გრანდიოზული, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და ეგვიპტის პირამიდებისგან საკვირველი მასშტაბის ობიექტია. როგორ აშენებენ ამ „საკვირველებას“ საბჭოთა სპეციალისტები, თუ ვინმე ცნობისმოყვარე იკითხავს, შეიძლება ეუპასუხოთ: ჩვეულებრივად ისევე, როგორც აშენებდნენ ვოლგა-დონის შემაერთებელ არხს, ვოლგოგრადის ჰიდროელექტროსადგურს, ლაჯანურჰესის მაღალი წნევის გვირაბს, და აშენებენ ახლაც კრასნოიარსკის ჰესს, ინგურჰესს, ოღონდაც მეტად თავისებურ ტოპოგრაფიულსა და გეოლოგიურ პირობებში და კიდევ უფრო მეტად უჩვეულო კლიმატურ ვითარებაში.

ეს კლიმატური ვითარებაა რომ ჩვენებურ კაცს პირველ ხანებში ერთგვარად შეაცბუნებს, მაგრამ მალე ორგანიზმი ეჩვევა აქაურ ჰაკას, ტროპიკული სიცხე ხელს ვეღარ უშლის მის შრომას.

ასუანი, რომლის გარე უბანშიც საბჭოთა სპეციალისტები ვცხოვრობთ, საზამთრო კუურორტია. სეზონი გრძელდება ოქტომბრიდან მაისამდე, ამ პერიოდში ეს ქალაქი-კურორტი აივსება ხოლმე ახალ განცდათა მაძიებელი და ცხოვრებამოყირავებული ბურჟუაზიის ნაშიერებით. მოდიან მსოფლიოს მძღოლები მართავენ, ჩამოყენებულია. ობიექტზე მუშაობა გრძელდება ნამუადღევის 2 საათამდე. შემდეგ სამუშაოზე მეორე ცვლა გამოდის. მას ცვლის მესამე ცვლა. ნაშუადღევის 2 საათის შემდეგ უცხო მხარეში გადახვეწილს ყველაზე მეტად, რასაკვირველია, დაინტერესებს სამშობლოს ხმის მოსმენა. ზოგჯერ გახვალ კაცი ბაზარში ან ქუჩაში, შეხვდები ჩვენებურს, რომელმაც ამა თუ იმ მიზეზის გამო რადიომიმღებთან მიჯდომის დრო ვერ იშოვნა და, ჩვეულებრივ მისალმებათა შემდეგ პირველი კითხვა ასეთი იქნება:

— თბილისი ხომ არ მოგისმენია?

სხვათაშორის, ასუანში თბილისის მოსმენა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენი საშობოლოს სხვა დიდი ქალაქებისა. და ჩვენც, თუ რასაკვირველია, სამუშაოდან თავისუფალი ვართ, მოუფენარი სიამოვნებით ვისმენთ თბილისურ რადიოგადაცემებს — „უკანასკნელი ცნობები“ იქნება ეს, ფეხბურთის რეპორტაჟი, თუ კონცერტი, ეს გადაცემებია რომ ხალისს გვმატებს. შრომის განწყობილებას გვიძლიერებს. რა იციან ჩვენმა მომღერლებმა, რომლებიც ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე მღერიან, რომ მათი აუდიტორიის ტაშს შორეულ ასუანში ჩვენი ტაშის ხმაც უერთდება, ან რა იცის ვლადიმერ ბარქაიამ, მიხეილ მესხმა, რა იციან ჩვენმა გამოჩენილმა ფეხბურთელებმა, რომ მათს მიერ ოსტატურად გატანილი ბურთი ასუანელი თანამემამულეების აღტაცებასაც იწვევს. გავიგებთ რაიმე სასიამოვნო ამბავს თბილისიდან და მყისვე მივახარებთ ხოლმე ერთმანეთს.

ასუანის კაშხალის მშენებლობაზე შემოღებულია „საპატიო წიგნი“. ამ წიგნში შეტანილი ვინაობა შემდგომში, როცა მშენებლობა დამთავრდება, აღნიშნული იქნება სამუდამო მემორიალურ დაფაზე. რამდენიმე ქართველი სპეციალისტის სახელი და გვარი უკვე ამოგეკვეთა ასეთ ადგილას. ეს ... [illegible] ... ა. თევზაძე, ... [illegible] ... ალ. ... [illegible] ... ალ. ... [illegible] ... ალ.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

მკითხველები გვწერენ

ქუთაისში კინოთეატრ „კომუნაში“ მოეწყო მაყურებელთა შეხვედრა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი ნაწარმოების — „პალიასტომის“ შემქმნელ შემოქმედებით კოლექტივთან.

ფილმის ავტორებსა და მონაწილეებს მიესალმნენ ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური, ინსტიტუტის სტუდენტი გ. ალექსანდრია და პოეტი ლილი ნუცუბიძე.

ფილმის დამდგმელმა-რეჟისორმა და სცენარის ავტორმა სიკო დოლიძემ მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის, დასასრულ ნაჩვენები იქნა ფილმი „პალიასტომი“.

ივ. ბუხაიძე.

ამ დღეებში სამტრედიის სახალხო თეატრში შეხვედრა მოუწყეს პოპულარულ ქართველ კინომსახიობს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს სპარტაკ ბაღაშვილს.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სპარტაკ ბაღაშვილმა.

ნ. მანჯგალაძე.

5.480 ტურისტი თელავში

თელავი (საკ. კორ.). ძველთაძველ ციხე-გალავნიანი გორა, რომელიც თელავს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაჰყურებს, თავისი ლამაზი შენობებით მშვენიერი სანახაობა. აქ მდიან და ორ დღეს ჩერდებიან ტურისტები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. ბთვალიერებენ ულამაზეს მიდამოებს და თბილისისაკენ მიეშურებიან.

წელს 5.480 ტურისტი ესტუმრა თელავს. მათ დათვალიერეს აქაური ღირსშესანიშნაობანი — წინანდალი, გრემი, შუამთა და სხვ. შთაბეჭდილებათა წიგნებში ტურისტებმა ბევრი თბილი სიტყვა ჩაწერეს.

„ვისაც უნდა, — წერს მოსკოველი ექიმი ვალენტინა კრილოვა, — სილამაზე იხილოს, კახეთი უნდა ნახოს. ალაზნის თვალწარმტაცი ველზე, რომელსაც ბუმბერაზი კავკასიონის და ციცა-გომბორის აგარაკოვანი მთები დარაჯობენ, სიყვარული და სიხარული მეფობს. წინაპართა ნატერფალზე ახალი ცხოვრება აყვავებულა“.

მომავალ წელს თელავის ტურისტული ბაზა ექვსი ათას ტურისტს მიიღებს.

პედაგოგის სიხარული

ზუგდიდი პედაგოგს პაველ მურზაყან ს-ძე მაჭავარიანს 41-ე სასწავლო წელი დაეწყო. უკანასკნელ ოც წელიწადს ის ხაშურის რკინიგზის მუშა ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლაში მუშაობს. ამჟამად დირექტორის მოადგილეა.

ამ ხნის განმავლობაში სკოლამ წარმოგიბიანაგან მოუწყვეტლივ 600-ზე მეტ მუშას მისცა საშუალო განათლება. მათ შორის არიან ელექტრომავლის წარჩინებული მემანქანე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სიმონ გოგოლაძე, ხაშურის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილე მიხეილ ტყემალაშვილი და სხვები, რომლებმაც საღამოს სკოლის შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელი განყოფილება დაამთავრეს დამჰიღეს ინჟინრის დიპლომი.

ამ და სახალხო განათლების ფრონტზე ბევრ სხვა საქმეში დიდია პ. მაჭავარიანის წვლილი. ამიტომაც დაადასეს მისი შრომა. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლით და მინიშებული აქვს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის სატიტო წოდება.

პაველ მაჭავარიანის მოღვაწეობა მაგალითია ახალგაზრდობისათვის.

დ. ფარემუზოვი.

სასკოლო მუზეუმი

ფყალტუბო. (საკ. კორ.). მხარეთმცოდნეობის ნამდვილი ენთუზიასტია სოფელ დაბაძეულის რვაწლიანი სკოლის დირექტორი, ისტორიის მასწავლებელი სერგო კუბლაშვილი. მისი ინიციატივით ამ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში მოსწავლეებმა მრავალი ისტორიული და ეთნოგრაფიული ექსპონატი შეაგროვეს.

სკოლაში ისტორიული მუზეუმი მოეწყო. მისი ფონდი სულ უფრო მდიდრდება.

მნიშვნელოვნად აცივდა საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე

ბაიარა ოქტომბერმა, რომელიც სსრ კავშირის ევროპული ტერიტორიის მეტი წილი რაიონებისათვის თბილი იყო. მაგრამ ოქტომბრის უკანასკნელ დღეებში არქტიკული ჰაერის მძლავრი ცივი ნაკადი შეიჭრა სსრ კავშირის ევროპული ტერიტორიის ჩრდილოეთის ოლქებში, სადაც ღამით ტემპერატურა დაეცა მინუს 8-10, ხოლო ზოგან 12-15 გრადუსამდე. შემდეგ ცივი ჰაერი დაიძრა სამხრეთისაკენ, საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის ცენტრალური ოლქებისა და უკრაინისაკენ და დასწია იქ ღამის ტემპერატურა მინუს 3-8, ხოლო ალაგ-ალაგ 10 გრადუსამდე. დღისითაც კი ვერცხლის წყლის სვეტი მეტწილ ცენტრალურ ოლქებში უჩვენებდა 2-4 გრადუს ყინვას. შემდეგ სიცივე შეიჭრა ჩრდილოეთ კავკასიაში და ქვემო ვოლგაზე.

ახლანდელ შემოდგომაზე ეს პირველი მნიშვნელოვანი აცივებაა. უახლოეს სამ დღე-ღამეში ცივი ჰაერი სსრ კავშირის ევროპული ტერიტორიიდან გაგრცელდება ურალს გაღმაც.

იუწყება პროგნოზების ინსტიტუტი

მაგრამ სსრ კავშირის ევროპული ტერიტორიის დიდ ნაწილზე ამინდი არსებითად არ შეიცვლება. უკრაინასა და სსრ კავშირის ევროპული ტერიტორიის ცენტრალური რაიონის. მნიშვნელოვან ნაწილში და ქვემო ვოლგაზე კვლავ იქნება 3-8, ხოლო ალაგ-ალაგ 11 გრადუსამდე ყინვა. საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის ჩრდილოეთის ოლქებში ხანმოკლე დათბობის შემდეგ კვლავ აცივდება და თოვლი მოვა. (საკდესი).

ტექნიკის სიახლენი

ლიდერს 3,5 ქულა აქვს

ბრძოლდება მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში.

სამი ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ტალ-კერესის პარტიაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ მისი რეალიზაცია ძნელი აღმოჩნდა. კერესმა მხედრის ეფექტური სვლებით აიძულა მეტოქე ყიმის დასჯერებოდა. მეორე გადადებულ პარტიაში კერესი ყიმზე შეუთანხმდა ვლადიმიროვს.

პიტჩი ბრძოლის განუახლებლად დანებდა გლიგორიჩს, ამ უკანასკნელმა კი მეორე პარტია ყიმით დაამთავრა ლიბერზონთან. პადეკსკიმ მოუგო ხიმენესს, კუპერსმა — ბალეროვსკის, გორტმა — ვლადიმიროვს. საბო-გორტის პარტია ყიმით დამთავრდა.

გუშინ შედგა მეოთხე ტური.

სმისლოვმა დაამარცხა პიტჩი, ტალმა — სიმაგინი, კერესმა — საბო, გლიგორიჩმა — კუპერსი, მატანოვიჩმა — ხიმენესი. ლიბერზონ-გორტი ყიმზე შეთანხმდნენ. ორი პარტია გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებს სმისლოვი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს.

ორი ვაკანტური ადგილისათვის

კიდევ სამმა ნაკრებმა — დანიის, ლუქსემბურგისა და ესპანეთის გუნდებმა მოიპოვეს უფლება მონაწილეობა მიიღონ ფეხბურთელთა ევროპის თასის გათამაშებაში. ეროთპიღფინალში.

ჯერ კიდევ ივნისში დანიელებმა ალბანელები დაამარცხეს ანგარიშით 4:0 და მიიღეს ბატანილი ბურთების დიდი მარაგი. ტირანაში კი წაგაგეს, მაგრამ მინიმალური ანგარიშით — 0:1 და იქვე გაიგეს, რომ მათი მეტოქენი იქნებიან ლუქსემბურგელი ფეხბურთელები, რომლებმაც როტერდამში დაამარცხეს ჰოლანდიის ნაკრები.

ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელებისათვის საჭირო იყო გამარჯვება საკუთარ მოედანზე ესპანეთის ნაკრებზე, რადგან ბილბაოში ირლანდიელებმა პირველ მატჩში ძლივს მიაღწიეს ფრეს — 1:1. მაგრამ საკუთარმა მოედანმა მათ ვერაფერი უშველა. ესპანელმა ფრანსისკო ჰენტომ, „საუკუნის მატჩის“ მონაწილემ, „საუკუნის მატჩის“ მონაწილემ, ტყვიამფრქვევს და სროლა არ შეუწყვეტია, სანამ მძიმედ არ დაიჭრა, მტრებს ცოცხალი რომ არ ჩავარდნოდა ხელში, გენერალ-მაიორმა უკანასკნელი ტყვიები გულში იკრა.

ბრძოლის შემდეგ ერთმა ლიტველმა გლეხმა ფარულად წაიღო მისი გვამი და თავის ბაღში ვაშლის ხის ძირას დამარხა. ყოველივე ეს ვიდა სვეტიკაიტემ და ნიოლია ჩერნიაუსკაიტემ პავლოვის ნათესავებს მისწერეს. გენერალ-მაიორ პავლოვის მახლობლები კაუნასში ჩავიდნენ. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს მოსწავლე ქალიშვილებს, რომელთა ოჯახებმა ისინი გულთბილად მიიღეს.

ბ. იურშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთში...

ფოტოეტიუდი ს. ონანოვისა.

ახალი აეროვოგზალი

კარგი სადღესასწაულო საჩუქარი მიიღეს საქართველოს დედაქალაქის მშრომელებმა. თბილისის ცენტრში, რუსთაველის მოედანზე, ფართოდ გაიღო სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიული სამმართველოს აეროვოგზლის ახალი სამსართულიანი შენობის კარი.

პირველ სართულზე განლაგებულია ცნობათა ბიურო და საბარგო განყოფილება, მეორე სართულზე საბილეთო სალარები და საფისპეტჩერო, მესამე სართულზე მოთავსებულია მოსაცდელი დარბაზი, „სოიუზპეჩატის“ კიოსკი, ბუფეტი.

შენობა აგებულია რკინაბეტონის კარკასითა და მინით. მას ამშვენებს ლამაზი ვერანდები. აეროვოგზალი განათებულია დღის სინათლით და რადიოფიცირებულია. აეროვოგზლიდან აეროპორტში მგზავრებს მიიყვანს სპეციალური სარეისო ავტობუსები. (საქდესი).

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს

ვინ იცნობდა გ. დვალაძეს?

ჩვენი გაზეთის 1963 წლის 13 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო ლიტვის რესპუბლიკური გაზეთის „ტიესას“ რედაქტორის გ. ზიმანასის წერილი რედაქციისადმი.

ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ 1943 წელს ლიტვაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის მეთაური, რომელსაც მეტსახელად „ჟორჟს“ ეძახდნენ.

ბრძოლაში დაიღუპა რაზმის თითქმის ყველა წევრი, ამიტომ ძნელი იყო რაზმის წევრებისა და მეთაურის ვინაობის დადგენა.

როგორც წერილის ავტორი გ. ზიმანასი იუწყებოდა, უკანასკნელ ხანს გაზეთ „ტიესას“ რედაქციას მიუღია ცნობა, რომ აღნიშნული პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი იყო ჟორჟ (გიორგი) დვალაძე, კაპიტანი, არტილერისტი, რომელიც ომამდე მუშაობდა ლიტვის ქალაქ კედაინიაში.

ავტორი სთხოვდა „კომუნისტის“ მკითხველებს, თუ რამე იციან ჟორჟ (გიორგი) დვალაძის შესახებ, აცნობონ ლიტვის რესპუბლიკური გაზეთის „ტიესას“ რედაქციას პირდაპირ ან გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით.

გუშინ გაზეთ „ტიესას“ რედაქციისაგან მივიღეთ დეპეშა. გაზეთის რედაქტორი გ. ზიმანასი გვატყობინებს, რომ იპოვნეს ჟორჟ (გიორგი) დვალაძის საფლავი, განზრახული აქვთ პარტიზანული რაზმის სახელოვანი მეთაურის ნეშტი გადასვენონ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა სასაფლაოზე ვილნიუსში, ლაში.

სურთ საქართველოდან მიიწვიონ გმირის ნათესავები.

დეპეშაში ლიტველი ამხანაგები კვლავ გვთხოვენ დავეხმაროთ დვალაძის ვინაობის დადგენაში.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია კვლავ თხოვნით მიმართავს თავის მკითხველებს, თუ ვინმე იცნობდა გიორგი დვალაძეს და რამე იცის მის შესახებ, დაუყოვნებლივ გვაცნობოს, დაგვეხმაროს იმის დადგენაში, თუ ვინ იყო ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, რომელიც გმირულად დაეცა გერმანელ ფაშისტ დაპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დეკორაციული ქაღალდი

ბევრ მშრომელს ჯერ ისევ დიდი ხნის წინათ აგებულ სახლებში უხდება ცხოვრება. ბევრი არც ეძლიოს ამ მხრივ ბედს, მაგრამ ძველ შენობებში ბინების შიგნითა მოპირკეთება სრულებით აღარ შეეფერება მობინადრეთა გაზრდილ მხატვრულ გემოვნებას. როგორ შევცვალოთ ბინების შიგნითა ხედი, როგორ მოვაპირკეთოთ კედლები ლამონის ან კაკლის „ხით“. ეს შედარებით ძვირი დაჯდება და უმჯობესია ასეთ მოპირკეთებაზე უარი ვთქვათ, რადგან მასალაც რომ ვიშოვნოთ, ხელოსნების მონახვა გაგვიჭირდება.

ჟურნალმა „ბუმაჟნაია პრომიშლენნოსტმა“ (№ 3) გამოაქვეყნა კრასნოგოროდის ქაღალდის ფაბრიკის დირექტორის ე. პეჩკოს წერილი, სადაც იგი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ აითვისეს ამ ფაბრიკაში კედლის მოსაპირკეთებელი დეკორაციული ქაღალდის გამოშვება. ქაღალდი მაგარი და გამძლეა როგორც ფანერა, რომელიც კედელს შეიძლება გავაკრათ სპეციალური წებოს საშუალებით. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ასე მოპირკეთებული კედლის ჩამორეცხვა, რითაც კედლის ფერი უფრო ხასხასა და მკაფიო გახდება. გამოშვებულია კაკლის, წითელი ხის, ლამონის ხის, სპილოს ძვლისფერი ერთფერონაინი და მრავალფერონაინი დეკორაციული ქაღალდის ფირფიტები.

ბინას იატაკი ათბობს

კრასნოიარსკის მშენებლობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დაამუშავეს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებისათვის, აგრეთვე მაღალმთიან ზონებში მოსახლეობისათვის ბინების გათბობის ახალი სისტემა, რომელსაც უწოდეს — „ბინას იატაკი ათბობს“.

უკიდურეს ჩრდილოეთში, სადაც სიცივე ხშირად მინუს 60 გრადუსს აღწევს, საცხოვრებელ სახლებს ჩვეულებრივად მიწის ზემოთ რკინაბეტონის სვეტებზე დაყრდნობით აშენებენ. ეს იმიტომ, რომ ნიადაგის მარადიული გამყინვარების პირობებში ბალავრის ამოღება გარდა იმისა, რომ დიდ შრომას მოითხოვს, არც სხვა მხრივ არის ხელსაყრელი: შესაძლოა ნიადაგი გალხვეს, შენობას ბალავერი გამოეცალოს. ჩვეულებრივი წესით გათბობა ასეთ სახლებში საქმეს ვერ შველის. ღუმელიდან იქვე გადადგმული მოხარშული შეჭამანდი ორიოდ წუთში იყინება. კრასნოიარსკელმა მეცნიერებმა დაამუშავეს ბინების გათბობის ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც იატაკს ქვემოთ გაყავთ დენსადენები, რომლებსაც ათავსებენ თაბაშირის ან ცემენტის ქერქში. თერმორეგულატორის საშუალებით დენსადენთა წვერები უერთდება ელექტროქსელს. სპეციალური გამომთიშველის საშუალებით შეგვიძლია გათბობის სისტემა ჩავრთოთ ან გამოვრთოთ, არც სხვა მხრივ არის ხელსაყრელი: შესაძლოა ნიადაგი გალხვეს, შენობას ბალავერი გამოეცალოს. ჩვეულებრივი წესით გათბობა ასეთ სახლებში საქმეს ვერ შველის. ღუმელიდან იქვე გადადგმული მოხარშული შეჭამანდი ორიოდ წუთში იყინება. კრასნოიარსკელმა მეცნიერებმა დაამუშავეს ბინების გათბობის ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც იატაკს ქვემოთ გაყავთ დენსადენები, რომლებსაც ათავსებენ თაბაშირის ან ცემენტის ქერქში. თერმორეგულატორის საშუალებით დენსადენთა წვერები უერთდება ელექტროქსელს. სპეციალური გამომთიშველის საშუალებით შეგვიძლია გათბობის სისტემა ჩავრთოთ

ახალი ამბები

სახურავი ნახერხისაგან

პროგრესული, გამძლე და საიმედო სახურავი მასალების ძიება მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად არის მიჩნეული. გაზეთი „კურიერ პოლსკი“ იუწყება, რომ პოლონეთის სარეწაო კოოპერაციის სისტემის ერთ-ერთ საწარმოში აითვისეს ნახერხისაგან სახურავი მასალის წარმოება. ეს სახურავი ბევრად უფრო მტკიცეა, ვიდრე კრამიტი, ან ასბესტცემენტის დაწნეხილი ფილები და გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ყველა სხვა სახის სახურავი მასალა.

ნახერხისაგან მიღებული სახურავი ფილები არ ტყდება, ტრანსპორტირების დროს არ იფშვნება და სახანძრო დაცვის მხრივ მეტად საიმედოა, ვინაიდან არ იწვის.

გრანიტის დამუშავება მფრქვევანათი

საქართველოში გვაქვს გრანიტის ცნობილი კურსების კარიერი (ტყიბულის რაიონში), სადაც ჩვეულებრივად გრანიტის ქვებს მექანიკური წესით ამუშავებენ. ეს კი მეტად მძიმე და შრომატევადი სამუშაოა. ერთი კვადრატული მეტრი გრანიტის მექანიკური წესით დამუშავებას სულ ცოტა 18 საათი სჭირდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლახან შემოიღეს გრანიტის დამუშავება თერმული მეთოდით, მფრქვევანას საშუალებით.

მფრქვევანა მუშაობს თხევადი მეკავბადისა და ჩვეულებრივი საწვავი ნავთის ნარევით. თხევადი მეკავბადი დიდად აძლიერებს მფრქვევანას ალის ტემპერატურას, რომელიც აღწევს 3.500 გრადუსს. ამ ტემპერატურის გავლენით ქვა ლზვება და იქრება. ასეთი საწვავი გამოიყენეს გრანიტის დასამუშავებლად. მფრქვევანას ალით შეიძლება ქვდეს ჩამოვაჭრათ ნებისმიერი გაბარიტის ლოდი და დავამუშაოთ მისი ზედაპირი. 1 კვადრატული მეტრი გრანიტის მფრქვევანას ალით დამუშავებას 50 წუთი სჭირდება.

მფრქვევანას ალით შეიძლება გრანიტზე ამოვკვეთოთ სურათი, წარწერა და ნებისმიერი ფიგურები.

გაუმჯობესებული მაცივრები

სავაჭრო ქსელში გამოვიდა ახალი, გაუმჯობესებული მაცივრები „ოკა-III“ — ქალაქ გორკის სამაცივრო დანადგართა ქარხნის ნაწარმი და „მინსკ-II“ — მინსკის სამაცივრო დანადგართა ქარხნის ნაწარმი.

„ოკა-III“ ხელსაყრელად განსხვავდება მისი წინა მოდელისაგან: აქვს მეტი მოცულობა (ახალი მოდელის მაცივარი 200 ლიტრს იტევს), ნაკლები წონა (78 კილოგრამი) და ხარჯავს გაცილებით ნაკლებ ელექტროენერგიას — 1 ლიტრის მოცულობის მისდევით მხოლოდ 0,2 ვატს საათში. 1963 წლის ბოლომდე გორკის ქარხანა 500 ცალ ასეთ მაცივარს გამოუშვებს.

მაცივარ „მინსკ-II“-ის მაჩვენებლები ასეთია: სასარგებლო მოცულობა 110 ლიტრი, ელექტროენერგიის საშუალო ხარჯი საათში 28 ვატი. ტემპერატურის შენარჩუნება მაცივრის კამერასა და ამაორთქლებელში წესრიგდება ავტომატურად თერმოსტატის საშუალებით.

წლის ბოლომდე მინსკის ქარხანა 8.000 ასეთ მაცივარს გამოუშვებს.

ტელევიზია

3 ნოემბერი

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“ (ვარჯიშის კომპლექსი, რომელიც ყოველდღიურად გადაიცემა რადიოთი), 12.15 — მხატვრული ფილმი „გულწრფელი“, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.55 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გალინა ულანოვა“, 19.55 — საერთაშორისო მიმოხილვა, 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — საესტრადო გადაცემა ციკლიდან „მათთვის, ვინც შინ დარჩა“, 20.45 — მხატვრული ფილმი „საუკუნის მატჩი“, 22.20 — ჩვენი სტუმრები, 22.30 — ახალი ამბები.

4 ნოემბერი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — „პიონერული ახალი ამბები, 18.15 — უფროსკლასელთათვის — „პუშკინი და მუსიკა“, 19.05 — განცხადებები, 19.15 — დოკუმენტური ფილმი „სინდისი გვიხმობს“, 20.05 — გადაცემა — ცისფერი ჭიკარტი“, 20.20 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 18, 20.30 — გადაცემა — „შემოდგომა თელეთში“, 20.55 — მხატვრული ფილმი „დიდები და პატარები“, 22.55 — ახალი ამბები.

რადიო

4 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული საფორტეპიანო პიესები, 08.10 — მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მუსიკა, 09.20 — კონცერტი შ. თაქთაქიშვილის ნაწარმოებებიდან, 11.15 — დ. შოსტაკოვიჩი. მეხუთე სიმფონია, 12.10 — საუბარი — „მშვიდობიანი თანაარსებობა და მუშათა მოძრაობა“, 12.25—თვითმოქმედი ანსამბლებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონცერტი, 13.40 — ოსური მუსიკის კონცერტი, 17.15 — ნ. გუდიაშვილი. სურთანები ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „სულხან-საბა ორბელიანი“, 18.10 — ქართული სიმღერები, 18.45 — კამერული მუსიკის კონცერტი, 19.30 — ნარკვევი — „ენგურის ნაპირებზე“, 20.15 — „ძალისპირული“, 20.30 — მეტნერი. მეორე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 21.15 — ლიტერატურული გადაცემა, 21.50 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 23.30 — მსოფლიოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი — ბოჰემა (დღისით), ლუჩია დი ლამერმური (ბრეგიერა — საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — მეტეხის ჩრდილში (დღისით, მე-2 აბონ. მე-9 წარმოდგენა, საღამოს აბონ. გარეშე), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჭინჭრაქა (დღის 12 ს. აბონ. გარეშე), **მარჯანიშვილის სახელობის** — ლიუბოვ იაროვაია (დღისით, 21-ე აბონ. მე-9 წარმოდგენა), მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (საღამოს, მე-8 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ვაზშმის წინ (დღისით და საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური ტრიბუნალი** (ბალნიგზელთა სახლში — მხოლოდ შენ ერთს..., **ძერჟინსკის სახელობის კლუბში**—ლიტვის საესტრადო ორკესტრის კონცერტი, **თოჯინების ქართულ თეატრში** — ფიფქიას სკოლა (12 ს. და 3 ს.).

ფილატელია

3 ნოემბერი

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“ (ვარჯიშის კომპლექსი, რომელიც ყოველდღიურად გადაიცემა რადიოთი), 12.15 — მხატვრული ფილმი „გულწრფელი“, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.55 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „გალინა ულანოვა“, 19.55 — საერთაშორისო მიმოხილვა, 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — საესტრადო გადაცემა ციკლიდან „მათთვის, ვინც შინ დარჩა“, 20.45 — მხატვრული ფილმი „საუკუნის მატჩი“, 22.20 — ჩვენი სტუმრები, 22.30 — ახალი ამბები.

4 ნოემბერი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — „პიონერული ახალი ამბები, 18.15 — უფროსკლასელთათვის — „პუშკინი და მუსიკა“, 19.05 — განცხადებები, 19.15 — დოკუმენტური ფილმი „სინდისი გვიხმობს“, 20.05 — გადაცემა — ცისფერი ჭიკარტი“, 20.20 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 18, 20.30 — გადაცემა — „შემოდგომა თელეთში“, 20.55 — მხატვრული ფილმი „დიდები და პატარები“, 22.55 — ახალი ამბები.

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

მხედრული დიდების ფურცლები

გმირი თავის ძეგლთან

...ჰიტლერელებისაგან ლიტვის გასათავისუფლებლად სასტიკი ბრძოლები წარმოებდა. ფაშისტების გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. პატარა ქალაქ ჟაგარესთან მათ კონტრიერიშზე გამოიყვანეს ტანკები, რომლებითაც უნდოდათ შეეჩერებინათ საბჭოთა მებრძოლების წინსვლა.

გზას იცავდნენ ჯარისკაცები, რომლებსაც მეთაურობდა ლეიტენანტი ივანე ნაზაროვი — წარმოშობით ურალელი. კრიტიკულ მომენტში ნაზაროვმა ხელი დასტაცა გრანატების კონას და ფაშისტების ერთ-ერთი მეწინავე ტანკისაკენ გაეშურა. გაისმა აფეთქება. ტანკები შეჩერდნენ. მალე ტანკების კოლონა განადგურებულ იქნა და საბჭოთა ჯარების წინსვლა გრძელდებოდა. ნებრძოლებმა ივანე ნაზაროვის გვამი ვერ იპოვნეს. მან სიკვდილშემდგომ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო ჟაგარეში საბჭოთა ოფიცერს ძეგლი აუგეს იმ ადგილას, სადაც მან გმირობა ჩაიდინა.

მაგრამ ყველაზე საოცარი რამ წინ არის.

ამას წინათ ჟაგარეში ჩავიდა... თვითონ ივანე ნაზაროვი, რომელიც დაღუპული ეგონათ. ურალელი გადარჩენილა. აფეთქებისას რომ დაიჭრა, ჰოსპიტალში მოხვედრილა, ხოლო ომის შემდეგ დემობილიზებული ტრაქტორისტად მუშაობს ორენბურგის ოლქის კოლმეურნეობა „კრასნოე ზნამიაში“.

ჟაგარეში ნაზაროვმა დაათვალიერა ძეგლი, რომელიც მას დაუდგეს. ივანე ნაზაროვის შემდეგ ჟაგარეში ჩავიდნენ სვერდლოვსკის კინოსტუდიის მუშაკები. ისინი იღებენ დოკუმენტურ ფილმს „ურალის პოემას“. კადრების ნაწილი მოგვითხრობს ივანე ნაზაროვსა და მის არაჩვეულებრივ ბედზე.

გმიროგბის ადგილი ნაპოვნია

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მონაწილე გენერალ-მაიორი ვასილ პავლოვი მამაცთა სიკვდილით დაეცა საბჭოთა ლიტვის მიწაზე სამამულო ომის დასწყისში — 1941 წლის ზაფხულში. კაუნასის სასაფლაოზე მის საფლავს მუდამ ამკობს ყვავილთა თაიგულები.

ორი წლის წინათ კაუნასში ჩავიდა გმირის დისწული ვალენტინა ჩერნინი, რომელიც ლენინგრადის ახლოს ქალაქ პუშკინში ცხოვრობს. მან კომკავშირის ხაჭალაქო კომიტეტს მიმართა თხოვნით — დახმარებოდა იმის გამორკვევაში, თუ რა გარემოებაში დაიღუპა ვასილ პავლოვი.

კაუნასელი კომკავშირელები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ თხოვნას.

ხანგრძლივი ძებნის შემდეგ კაუნასელმა მოსწავლეებმა გამოარკვიეს, რომ ვასილ პავლოვი დაღუპულა პატარა ქალაქ კაიშიადორისთან, 35 კილომეტრზე კაუნასის აღმოსავლეთით, და იქ დაუკრძალავთ ჰიტლერელებისაგან ფარულად. მხოლოდ 1950 წელს გმირის გვამი კაუნასის სასაფლაოზე გადაუსვენებიათ. გოგონები იყვნენ კაიშიადორისში, სადაც შეხვდნენ გენერლის დაღუპვის მნახველებს. იგი სათავეში ედგა საბჭოთა ჯარისკაცებს და უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა ჰიტლერელების მიერ გარშემორტყმული. როცა პავლოვის გარშემო ცოცხალი ალარავინ დარჩა, იგი თვითონ მიუწვა ტყვიამფრქვევს და სროლა არ შეუწყვეტია, სანამ მძიმედ არ დაიჭრა, მტრებს ცოცხალი რომ არ ჩავარდნოდა ხელში, გენერალ-მაიორმა უკანასკნელი ტყვიები გულში იკრა.

ბ. იურშე.

ლიდერს 3,5 ქულა აქვს

ბრძოლდება მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში.

სამი ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ტალ-კერესის პარტიაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ მისი რეალიზაცია ძნელი აღმოჩნდა. კერესმა მხედრის ეფექტური სვლებით აიძულა მეტოქე ყიმის დასჯერებოდა. მეორე გადადებულ პარტიაში კერესი ყიმზე შეუთანხმდა ვლადიმიროვს.

პიტჩი ბრძოლის განუახლებლად დანებდა გლიგორიჩს, ამ უკანასკნელმა კი მეორე პარტია ყიმით დაამთავრა ლიბერზონთან. პადეკსკიმ მოუგო ხიმენესს, კუპერსმა — ბალეროვსკის, გორტმა — ვლადიმიროვს. საბო-გორტის პარტია ყიმით დამთავრდა.

გუშინ შედგა მეოთხე ტური.

სმისლოვმა დაამარცხა პიტჩი, ტალმა — სიმაგინი, კერესმა — საბო, გლიგორიჩმა — კუპერსი, მატანოვიჩმა — ხიმენესი. ლიბერზონ-გორტი ყიმზე შეთანხმდნენ. ორი პარტია გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებს სმისლოვი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს.

ქომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 8-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-35-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-78-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი ფისამართი და ტელეფონები

УЭ 06093

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.